



გაზეთი გაეშალა
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

მაცნე

სამტრედიის

N10 (9261)

11 აპრილი, 2018 წელი

ფასი 50 თეთრი

აპრიდან იღვწა აატირა ტიტუბი



5



2 “ბუჩი გაუკეთეთ და ჯიღუ ბუჩი გაუქვს გასაკეთებელი”

დღის წესრიგშია ორი საკითხი

წინასწარდგომორ
წითელი ჟუხისვან



3

“სანი თანაღბიმა” გიბ
ან ანსაბბლან, ციციანბი
ან პიანბბილით



4

აბიანუდი
ბიბანაბბის
ისტიბია
საბბრალიაბი

6

სასყოლოთ ოივის
გამანჯუვბულოი ბიბიბბობბიცი
საჯანობ სყოლოთ

14 აპრილი ქართული ენის დღეა!

“ბუჩი გაჯაჯოთ და ჯიჯ ბუჩი გაჯეს გასაჯოებელი”

ორშაბათის ტრადიციული თათბირი მუნიციპალიტეტის მერმა აზიურ ფაროსანაზე საუბრით დაიწყო. ვალერიანე ფოცხვერიამ მანუჩის წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფის ხელმძღვანელს, ნოე ივანიძეს სთხოვა, დარბაზის წინაშე გამოსულიყო და იმ გვერდ-გრაფიის შესახებ ესაუბრა, რომლითაც საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურთან ერთად უნდა იმოქმედონ.

მუნიციპალიტეტის მერმა პირველი ნომრის ამოცანად მოსახლეობაში ავტაცია დაისახა. ამაში მას სამტრედიის სხვადასხვა ტერიტორიაზე ჩატარებული საინფორმაციო შინაარსის შეხვედრები დაეხმარება. ტრადიციული თათბირის მონაწილეებს ვალერიანე ფოცხვერიამ პაატა ხარებავა წარუდგინა. ყოფილი პროკურორი სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის აუდიტის სამსახურის უფროსად დაინიშნა.

გომის თემში ორი ხიდიდან ერთზე დემონტაჟის, ხოლო მეორეზე აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს, ეს და სხვა ინფორმაციები ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე ინფორმაციის სამსახურის უფროსმა, ზურაბ გოგიამ გააუქვრა.

“ბევრი გაჯაჯოთ და კიდე ბევრი გაჯეს გასაჯოებელი” – ითქვა ვალერიანე ფოცხვერიას ერთ-ერთ გამოსვლაში, სადაც მუნიციპალიტეტის მერმა გზების სამუშაოებზე გაამხილა საზოგადოების ყურადღება. იქვე მან გალმა ზონაში ბეტონის გზის დაგება დააანონსა.

მუნიციპალიტეტის მერი შეხვედრის ბოლოს სასაფლაოების საკითხებთან დაინტერესდა. ელგუჯა კალაძისაგან მოისმინა ინფორმაცია რა ღონისძიებების გატარება მიმდინარეობდა. დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის განმარტებით 12 სასაფლაო აქვთ აყვანილი კონტროლზე. სადაც მცდელობას არ აკლებენ მაქსიმალურად გააქვთ ის, რაც ადრე, სხვა წლებში არ გაქვებოდა.



ბობო ნახუაშვილი

მოხიგი სხდომა ჩვეუდ ხეიში

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორბეი სხდომა დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ჩვეულ რეჟიმში წარიმართა. გარკვეულ კითხვებზე შაბლონური პასუხების მიღების შემდეგ პოზიცია-ოპოზიცია ხელის ერთი აწევით დაეთანხმა იმ 19 საკითხის მიღებას, სხდომაზე რომ გახლდათ გამოტანილი. მათი უმრავლესობა სხვადასხვა ააპის ბიუჯეტში მუხლობრივ გადანაცვლებებს თვალისწინებდა. გააქვთ გასული თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი, მოისმინეს ინფორმაცია 2017 წლის აღვლობრივი ბიუჯეტის წლიური ბალანსის შესახებ. ოპოზიციონერ მამუკა ბიბილეიშვილის რამდენიმე კითხავს

ბიუჯეტთან დაკავშირებით მისივე რეპლიკა მოჰყვა, რომ გასულ წელს 1 მილიონზე მეტი გაუხარჯავი დარჩა. საფინანსო სამსახურის უფროს დავით ბაღდაძისგან პასუხმა არ დააყოვნა: “არაერთხელ ავისხენით, რომ ეს ასე არ არის. სიტუაციაში გარკვეული ხარტ და ნუ გამოიყენებთ ამ ფაქტს ტყუილი განცხადებების საკეთებლად.” მეორე საკითხში, სოფლის სასაფლაოების მოწესრიგებას რომ ეხებოდა, მამუკა ბიბილეიშვილს უმრავლესობის ყველა წევრი დაეთანხმა. ასევე უმრავლესობის მხარდაჭერა ჰქონდა მას დიდი ჯიხაიშის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 5 ჰექტარი მიწის ნაკვეთის პი-



რდაბირი განკარგვის წესით, აღნაგობის ფორმით, პირობით სარგებლობაში გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის საკითხში. “მოვიწვიოთ საკრებულოს სხ-

რველია, ეს ფორმატი ტრადიციად ვაქციოთ.” ეკონომიკისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი ნოე ივანიძე მომდევნო სხდომებზე ამ ნიუანსის გათვალისწინებას დაეთანხმა. “არაერთი შემთხვევა ყოფილა, ინვესტორთან ხელშეკრულების დადებისას გასათვალისწინებლად ჩავეითვლია თქვენი მოსაზრებები.” – უპასუხა მან მამუკა ბიბილეიშვილს.

ერთ-ერთი საკითხი სახელდებისა და სიმბოლიკის დროებითი კომისიის დებულებაში შესატან ცვლილებას დაეთმო, რომელიც სხვა დანარჩენ საკითხებთან ერთად ერთხმად იქნა მიღებული.

ბობო ნახუაშვილი

რიონის ქუჩაზე შეკრებილ მოსახლეობასთან სასაუბროდ მუნიციპალიტეტის მერი ადგილობრივი ხელისუფლების სხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთად მივიდა. იმ ზარალისა და ზიანის შემდეგ, რაც გასულ წელს ფაროსანამ სოფლის მეურნეობას მიაყენა, გასაყვირი არაა, წინასააღდგომოდაც ფაროსანა რომ გახლდათ საუბრის თემა. არაერთი რჩევა მიიღო რიონის, ცაბაძისა და ჩოლოყაშვილის ქუჩების მოსახლეობამ ეკონომიკისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროს ნოე ივანიძისგან, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინ აბაშაში იმყოფებოდა, აზიური მანუჩის საწინააღმდეგოდ უკვე დაწყებულ სამუშაოებისა და საშუალებების გასაცნობად. იქაური რჩევები მან ამჯერად აქაურ მცხოვრებლებს გაუზიარა. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, თუ ცალკეულმა მოსახლემ, ყველა ოჯახმა, ახალგაზრდამ თუ მოხუცმა ერთიანი ძალებით არ ვებრძოლოთ, მანუჩელი წელსაც მოგვერევა. “მიუხედავად იმისა, რომ თავის მხრივ მცდელობას არ აკლებს, პირიქით, გაორმაგებული ძალებით ებრძვის, მხოლოდ სახელმწიფოს იმედად ყოფნა შედეგს ვერ მოგვიტანს. თუკი დროულად დაიწყებ-

რიონის ქუჩაზე ფაროსანას სანინააღდგომოდ



ბთ, მივალწევთ მას. უბრალოდ, მონღო-მეგაა მთავარი. პრეპარატები და საჭირო ტექნიკა, წინა წელთან შედარებით ორჯერ მეტი რაოდენობით აქვს მუნიციპალიტეტს. ნებისმიერი საჭიროებისას ნებისმიერ უბანზე უპრობლემო იქნება მისი გამოყენება.” – აღინიშნა ნოე ივანიძემ. ტარიელ ოჩხიციანი მკველი მეურნის გამოცდილებით ისაურა მანუჩელ-

ზე: “მურვან ყრუს არ მიუყენებია იმდენი ზარალი საქართველოსთვის, რაც ამ მანუჩელმა მიაყენა. უნდა გავითავისოთ, რომ ჩვენი დახმარების გარეშე, მხოლოდ სახელმწიფოს იმედად ყოფნა, სხვა თუ არაფერი, დანაშაულია. გაერთიანება საჭირო აზიურ ფაროსანასთან საბრძოლველად.” შეხვედრაზე მოსახლეობას აზიური



მანუჩელის საწინააღმდეგოდ რამდენიმე მართივი, თუმცა, დიდი შედეგის მომტანი წესი ასწავლეს. უპასუხეს მათ შეკითხვებს. მოსახლეობის სურვილებს ქუჩის, უბ-

ნისთვის საჭირობოლო ინფრასტრუქტურულ საკითხებზე მუნიციპალიტეტის მერი გაეცნო და მათი მოგვარების პირობა დასდო.

ბობო ნახუაშვილი

მოსახლეობა აზიუხი ფაიოსანას მექანიკუხად ანადგუხებს



56 წლის შალვა ადამია ილორის დასახლებაში ცხოვრობს. საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთში ოჯახს 3000 კვადრატულ მეტრზე თხილის მეურნეობა აქვს გაშენებული. სეზონზე ადამიები 1 ტონა თხილს იწვედნენ, შარშან კი 350 კილოგრამი მოსავალი აიღეს და ისიც საკვებად გამოუსადეგარი.

ილორის ტერიტორიაზე საინფორმაციო-სააგეტაციო შეხვედრას შალვა ადამიაც დაესწრო. გულისყურით მოისმინა აზიურ ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია და იმედი გაუჩნდა, საკუთარი ჩართულობით მანუჩელის განადგურებაში მისი წვლილიც იქნება.

აბაშაში სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტების მიერ დატრენინგებულმა ოფიციალურმა სამტრედიამ საინფორმაციო შეხვედრები ქალაქში, ილორის დასახლებიდან დაიწყო. 2 აპრილს, არაჩვეულებრივად მზიანი და თბილი დღის პირობებში ილორის სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენიმე ათეული ადამიანი მოვიდა, რათა ბრძოლის იმ მეთოდებში გარკვეულიყვნენ, რასაც ხელისუფლება სახლის პირობებში მათ სთავაზობს.

აპრილის ბოლოდან ტექნიკის მასიური გამოყენება დაიწყო. მანამდე მოსახლეობამ საცხოვრებელ სახლებსა და საკარმიდამო ნაკვეთებში მექანიკურად უნდა განადგუროს მანუჩელი. შეხვედრის მონაწილეებს ილორში საინფორმაციო ბუკლეტები დაურიგდათ.

ბობო ნახუაშვილი

წინასწარდგომი ნიუჯი ჯუჯისკან

თბა გავსაფილი

ჯერ ისევ აღდგომის კვირადღეზე საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციის სამტრედიის ფილიალში სოციალურად დაუცველი და მარტოხელა მოხუცებისთვის სააღდგომო ატრიბუტებითა და განწყობით დატვირთული შეხვედრა მზადდებოდა. ლამაზად გაწყობილ მაგიდასთან მოხუცები მუნიციპალიტეტის მერს ელოდნენ. ვალერიანე ფოცხვერიაც დანიშნულ დროს გამოცხადდა. გულთბილი მისაღმებისა და მოყთხების შემდეგ წითელი ჯვრის სამტრედიის ფილიალის ინციატივითა და

ადგილობრივი მერიის დაფინანსებით მომზადებული სააღდგომო ამანათები გადასცა მათ. “ამგვარი თანამშრომლობა ჩვენთვის არც პირველია და არც ბოლო იქნება. ადამიანური ვალაია, ამ მოხუცებს სადღესასწაულო დღეები გავუღამაზოთ და დახმარების ხელი გავუწოდოთ. სასიამოვნოა მათი დადებითი ემოციების დანახვა. იმედია, შესაძლებლობა გვექნება, კიდევ ბევრი სიურპრიზი მოუწყოთ.” – ამ სიტყვებით დაემშვიდობა ვალერიანე ფოცხვერია მათ. ფილიალის აღმასრულებელი მდივანი ნათია პაპავა კი საუბრობდა იმაზე, რომ: “მუნიციპალიტეტის მერიის დახმარებ-

ით არაერთი კარგი ღონისძიება დაფინანსებულა წითელი ჯვრის სამტრედიის ფილიალში. ადგილობრივი მერიის დახმარებით გამოგვეყო ფართი, რაც მოხუცებისა და არა მხოლოდ მათთვის, მეტი კომფორტის შექმნის შესაძლებლობას მოგვცემს. “სოქენის” პროექტის დახმარებით ფართის გარკვეული ნაწილი გარემონტდება. დანარჩენის შესარემონტებლად სპონსორს მოვიძიებთ. დახმარებას ადგილობრივი სახსრებითაც გავვიწვევს ადგილობრივი მერია. კიდევ ერთხელ მადლობა მათ ამისთვის. ამ პროექტის მიზანია სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი და ღვენი-



ლი მოსახლეობისთვის “მეგობრობის ოთახის” მოწყობა.” სააღდგომო ამანათი, რომელშიც

“ტკბილი ქვეყნის” წარმოების სააღდგომო პასკა და წითელი კვერცხები იყო, 30 ბენეფიციარს გადაეცა.

“სახლი თანადგომას” რამ არ არსებობს, ციხეები არ პიანაბილი

ნონი ნანტაფილი

“სახლი თანადგომას” ტრადიციული სააღდგომო ამანათი 133 ბენეფიციარზე წელსაც მომზადდა. თითოეულზე 3 პასკა, 3 კვერცხი, 3 სანთელი და 300 გრამი კანფეტი გაიცა. ადგილობრივი ბიუჯეტს სააღდგომო ამანათი 887 710 ლარი დაუჯდა, ერთ ბენეფიციარზე 6 ლარი და 65 თეთრი დაიხარჯა. 6 აპრილს სადილის შემდეგ უფასო სასადილოში “სახლი თანადგომას” დირექტორი, მზევინარ ბოხუა, თანამშრომლებთან ერთად მივიდა და ბენეფიციარებს სააღდგომო ამანათები დაურიგა. რამდენიმე ბენეფიციართან გასაუბრებისას თითქმის ერთი და იგივე შინაარსის პასუხები მივიღეთ. ისინი აღნიშნავენ, რომ უფასო სასადილოში თავს ისე გრძობენ, როგორც საკუთარ სახლებში; რომ სასადილოში მომსახურე-



პერსონალი მათ მიმართ უდიდეს სიბოლოს იჩენს, ემსახურებიან კეთილსინდისიერად. იყო შემთხვევა, უფასო სასადილოში მოსადილე 74 წლის სერგო გრ-

იგოლია ცუდად გახდა. დიდი მზრუნველობა გამოიჩინეს მის მიმართ, დაეხმარნენ წამლებით, დაუკავშირდნენ “სახლი თანადგომის” დირექტორს, მზევინ-

არ ბოხუას. მანაც გულთან მიიტანა მისი მდგომარეობა და სადილი სახლში მიტანილი დაუნიშნა. ლეილა თავაძე: “ეს სადილი რომ არ არსებობდეს, აქამდე ვერ ვიცოცხლებდით, ესენი სიცოცხლეს გვიხანგრძლივებენ თავისი მზრუნველობით და უთბილესი მოპყრობით”. “სახლი თანადგომას” დირექტორს სჯერა, რომ ეს სააღდგომო ამანათი ძალიან ცოტაა: “კარგი იქნებოდა, მასში სხვადასხვა ხილეული და ტკბილეული შედიოდეს, რომელიც ძალიან უყვართ ჩვენს ბენეფიციარებს, მაგრამ ბიუჯეტი მეტ საშუალებას არ გვაძლევს, რადგან აღდგომის გარდა ჩვენ სხვადასხვა პროგრამები გავგანა, რაც ხარჯებთან არის დაკავშირებული. ბენეფიციარების 60%-ს, რასაც ჩვენ ვაძლევთ სააღდგომოდ, მათი შექმნის საშუალებაც კი არ ექნებოდათ. ჩვენი მუნიციპალიტეტის მე-

რს, ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას და მერიის მოადგილეს, ბატონ დავით ბახტაძეს, უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ სააღდგომოდ ბენეფიციარები. ისინი მართლმადიდებელი არიან და მათზე ზრუნავს რაიონის ხელმძღვანელობა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და “სამტრედიის მაცნეს” ფურცლებიდან ჩვენს ბენეფიციარებს მივულოცო აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, ვუსურვო, პირველ რიგში, ჯანმრთელობა, წელთა სიმრავლე და სიბერის ხალისიანი ბედნიერი დღეები. დაგამატებდი, რომ ჩვენს 100 წლიან ბენეფიციარს სოფელ გორმადალში, ქალბატონ ქეთო ბუბუტეიშვილს 8 მარტი მიულოცა რაიონის მერმა ბატონმა ვალერიანე ფოცხვერიამ და თქვენც ვისურვებთ, 100 წელზე დაბლა არც ერთს არ გვეცხოვროთ. უფალი იყოს თქვენი მფარველი”.

დღის წესრიგშია ორი საკითხი

ბრმა უნდა იყო კაცი ან დაუნახავი, ვერ გრძობდე იმ სახლებს, ჩვენი კოპწია ქალაქის იერსახის დასამშვეენებლად რომ კეთდება, მაგრამ... მაგრამ არის რიგი საკითხებისა, აუცილებელ მოგვარებას რომ საჭიროებენ. მრავალთაგან მრავალგზის საკითხის დასმის მიუხედავად, ქალაქში, ცენტრალურ ადგილებზე ფანტანები ხანაგამშრალნი არიან, არადა, რიგ ქუჩებზე წყალი დაზიანებული ონეანებიდან ფუჭად იღვრება. ცხელი ზაფხული საცაა გვეწვევა, ქალაქშიც მოიმატებს დედაქალაქიდან სტუმართა ნაკადი, ესეც რომ არა, წყალი ყოველთვის, წლის ნებისმიერ დროსაა საჭირო და აუცილებელი. არა მარტო რეგიონში, ქვეყნის მასშტაბით სამტრედა ერთ-ერთი დიდი მუნიციპალიტეტია როგორც ფართობის, ისე მოსახლეობის მიხედვით, არც კულტურა გვესწავლება ვინმესგან. სამწუხაროა ისიც, რომ წლებია ქალაქში არც ერთი საზოგადოებრივი ტუალეტი არაა, არადა ბოლო დროს ტრადიციულ დაქვემდებარებული, ღია ცის ქვეშ გამართული ღონისძიებებისას, თუ უბრალოდ, ყოველდღიურობიდან გამომდინარე, ტუალეტების აუცილებლობა ნამდვილად დგას დღის წესრიგში, მით უფრო საზოგადოებრივი თავშესაფრის ადგილებში. გვეწამს, ჩვენს ამ გამოსვლას მაგანნი ჩასაფრებული კაცის “კბენად” არ მიიღებენ, არამედ, უპრობლემოდ მიხედვებიან, “ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია”.



ლევან ბაბინაძე

“გაიღე სისხლი სიცოცხლის გადასარჩენად”

ნათია ნანტაფილი



ეს სლოგანი ოდენ სლოგანად არ რჩება, მოხალისენი დროდრო გამოჩნდებიან, თუქცა, შესხენება, გახდნენ უანგარო ღონისძიების, მანაც სჭირდებათ. ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალური ბანკი სამტრედიის სამი წელია, რაც ფუნქციონირებს. სისხლის ბანკში მორიგი უანგარო ღონისძიება გაიმართა. სისხლი ამჯერად დაცვის პოლიციის დეპარტამენტის რეინიგის ობიექტების დაცვის სამმართველოს დაქვემდებარებული განყოფილების დასავლეთ საქართველოს დაცვის სამსახურების სამტრედიის დაცვის განყოფილების თანამშრომლებმა გაიღეს. გიორგი გერგეშანიძე, რეინიგის დაცვის პოლიციელი: “ამაზე კარგი და კეთილშობილური საქმე რა უნდა იყოს, სიცოცხლის გადარჩენა უპირველეს ყოვლისა! მივესალმებით მსგავს აქციებს!” “ირაკლი ნაჭყვია, რეინიგის დაცვის პოლიციელი: “საზოგადოებას მოუწოდებ, ყველამ გაიღოს სისხლი უანგაროდ და გადავარჩინოთ ადამიანის სიცოცხლე! სიხარულით შევუერთდი სისხლის უანგაროდ გაღების აქციას!” ლაშა კვანტალიანი, სისხლის ბანკის დირექტორი: “ღღეს ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალურ ბანკში უანგარო ღონისძიება გაიმართა. ამჯერად აქციაში მონაწილეობა რეინიგის დაცვის პოლიციელებმა მიიღეს, ჩვენი მიზანია, ამ კუთხით მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლება, დონაციის პოპულარიზაცია და სისხლის უანგარო დონაციის რაოდენობის ზრდა. გვიხარია, რომ აქციას რეინიგის დაცვის პოლიციელები შეუერთდნენ, ამისათვის მადლობა მათ, განსაკუთრებული მადლობა განყოფილების უფროსს, ბატონ ავთანდილ მაჭავარიანს, რომ არა მისი გულისხმიერება, ძალიან გავვიჭირდებოდა ამ აქციის ჩატარება, საერთაშორისო სტანდარტებით ცნობილია, რომ უანგარო დონაციის შედეგად მიღებული სისხლის კომპონენტები ყველაზე უსაფრთხოა, უსაფრთხოა და სასარგებლო თვითონ დონაციის პროცესი. აღსანიშნავია, რომ ამ სახის საქველმოქმედო აქციებში დაცვის პოლიცია ხშირად დებულობს მონაწილეობას, რაც მისაბამი უნდა იყოს ყველა ორგანიზაციისათვის. კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოვასხენებ თითოეულ ღონისძიებას და ბატონ ავთანდილ მაჭავარიანს, ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალური ბანკი მუდამ ხალხის სამსახურშია, დონორობა გმირობაა, ყველა ღონისძიებაშია! ამ დაწესებულების დამფუძნებლის, ნატალია კვანტალიანის უახლოეს გემგმებში შედის სხვადასხვა სოციალური და ბიზნეს-პროექტების განხორციელება, რაც უდავოდ სასიკეთოდ წაადგება სამტრედიასა და სამტრედიელებს. საზოგადოებას მოუწოდებ, გაიღოს სისხლი უანგაროდ და გადავარჩინოთ სიცოცხლე!”

14 აპრილი ქართული ენის დღეა!

ლევან გაბუნია

ჩვენი ენა ქართული

ორმოცი წელი ვაფიქრებ მას შემდეგ, რაც ქართველმა ერმა მტკიცედ უთხრა უარი კრემლის გადაწყვეტილებას, ვერ კიდევ საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში ჩაწერათ სიტყვები, რომ საქართველოს სახელმწიფო ენაა რუსული.

ერი და ბერი დედაქალაქის ქუჩებში გამოვიდა 1978 წლის აპრილის იმ დღეს, როგორც მოსალოდნელი იყო, აქტიურობდნენ ახალგაზრდები, სტუდენტები. მომიტინგეთა შორის ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, აკადემიკოსი აკაკი შანიძეც გახლდათ.

იმდენად დიდი იყო მომიტინგეთა ეროვნული მუხტი, რომ კრემლმა უკან დაიხია.

დიდხანს სცემდა თურმე მაგიდაზე მუშტებს ბრანდორეული მიხეილ სუსლოვი – საბჭოეთის მთავარი იდეოლოგი.

ქართველი ერის ურყევი ნება აღსრულდა, ქვეყნის ძირითადმა კანონმა განსაზღვრა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი.

14 აპრილი იყო მაშინ, 1978 წლის 14 აპრილი.

ვაფიქრებ რამდენიმე წელი და ქართველმა კაცმა ძეგლი დაუდგა დედაენას, ერთადერთი, უპრეცედენტო მოვლენაა, მსგავსი რამ ცივილიზებულ სამყაროში. როდენ საამაყოა, რომ ჩვენ, ქართველები ვართ ამის შემოქმედნი, მაგრამ წლების შემდეგ, ისევ ჩვენ, ქართველებმა დაიწყეთ მშობლიური ქართულის დამახინჯება – მართლწერასა თუ ზეპირსიტყვიერებაში, რაც ნამდვილად არ გვე-



პატიება.

წლების წინ ქვეყნის მასშტაბით ენის დაცვის სახელმწიფო პალატა და მისი პირველადი (საქალაქო, მუნიციპალური) წარმომადგენლობები ფუნქციონირებდნენ, მერე კი ისინი გააუქმეს, ეს

თად გვსურს ის ადამიანები მოვიგონოთ, მთელი ცხოვრება რომ იღვწოდნენ ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვისათვის და ამასვე მოუწოდებდნენ სხვებსაც.

ქალბატონი ნონა ნაცვლიშვილი, ქალაქის მესამე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ღირსების ორდენის კავალერი, სახალხო განათლების წარჩინებული.

ქალბატონი რაისა შენგელია, ჭავჭავაძის არასრული საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უნიჭიერესი პედაგოგი.

იზოლდა ლორია, ქვაყუდის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგი, მარადის ახლის მძიებელი ქალბატონი.

ბატონი აკაკი ჯამბურია – კულამ-



ის მკურნალის სახელობის საშუალო სკოლის ჯერ დირექტორი, შემდეგ კი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

ბატონი ვალერიანე მეგრელიშვი-

ლი, დანიის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, გავით “სოციალისტური შეტევას” ყოფილი რედაქტორი.

უნდა ითქვას, რომ ბატონები ვალერიანე მეგრელიშვილი და აკაკი ჯამბურია საქართველოში ცნობილი ბიბლიოფილები იყვნენ, რომელთა საოჯახო ბიბლიოთეკა ასობით წიგნს ითვლიდა, რომლითაც უშურველ სამსახურს უწევდნენ ისინი დაინტერესებულ პირებს, სწავლას მოწოდებულ ახალგაზრდობას, უბრალოდ წიგნის მოყვარულთ.

არ შეიძლება, არ გავისვენოთ საქართველოს დამსახურებული ექიმი, ჟურნალ “მედიცინას” სარედაქციო საბჭოს წევრი, ბატონი გენო გეგეშიძე.

ბატონი სულგო ნინუა, რომელმაც ბევრი გააკეთა მშობლიური ენის სიწმინდის დაცვის კუთხით მაშინ, როცა მიხეული პასუხისმგებლობით ედგა სათავეში საქართველოს წიგნის პალატის სამტრედიის სამმართველოს.

სამწუხაროდ, დღეს ეს ადამიანები ქვეყნად არ არიან და ისევ სამწუხაროდ, ჩვენს გავითში ნაკლებად აქტიურობენ საჯარო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები.

აღნიშნავთ იმასაც, რომ მშობლიურ ენაზე ზრუნვა არა მართლ მათი, არამედ თითოეული ჩვენგანის უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს.

არაფრის მიტქმელი, ნაკლებმდეგიანია წელიწადში ერთხელ, დედაენის დღეს მივუძღვნათ გრანდიოზული ღონისძიებები, მერე კი,

მერე...

“ენა დედაა ერისა” – გემოდღვრავს სულმნათი წინაპარი, მამასადაძე, მშობელ დედასავით უნდა გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას.

სტუდენტები ისე სცოდვენ, ხომ ახც იციან, თუ ხამდენ შეცდომას უშვებენ

ნათია ნაცვლიშვილი

ქართული ენის დღესთან დაკავშირებით “სამტრედიის მაცნე” საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს, თანამედროვე ქართული ბესტსელერების ავტორს, პოეტ გიორგი კეკელიძეს დაუკავშირდა და ენასთან დაკავშირებულ მტკივნეულ საკითხებზე ესაუბრა.



– ბატონო გიორგი, თქვენ, როგორც ლექტორს, უამრავ ახალგაზრდასთან გიწვეთ ურთიერთობა, როგორ “დაიგნოზს” დასვამთ, უფრთხილდებიან ახალგაზრდები ენას სათანადოდ?

– ამ მხრივ რთულადაა საკითხი, სამწუხაროდ, სასკოლო განათლება არ ამღვსავს ახალგაზრდებს მსგავს მზაობას. შესაბამისად, სტუდენტები ისე სცოდვენ, რომ არც იციან, თუ რამდენ შეცდომას უშვებენ.

– არის თუ არა კომპიუტერს მიჯაჭვულობა პრობლემა თანამედროვე ახალგაზრდისათვის? წიგნთან დაშორება ბუნებრივია, აღარბეჭდს მოსწავლის ლექსიკას და ხელში გვრჩება მდარე ენით მოსაუბრე ადამიანი,

რომელსაც ერთადერთ საუკეთესო ეპითეტად სიტყვა “მაგარი” უქცევია...

– ინტერნეტს უამრავი სარგებელი აქვს, თუმცა, როგორც ვეღვაფერს, მასაც გააჩნია არასახარბიელო მხარე. წიგნის კითხვა იქაც შეიძლება, არჩევანის საკითხია. რაც შეეხება სოციალური ქსელების ენას, მასთან ბრძოლა შეუძლებელია. საბოლოოდ მაინც ინდივიდების და მოდის ამბავი მგონია. თუ ე.წ. ავტორიტეტები გამართულად დაწერენ, შეიძლება მათ ბევრმა მიბადოს.

– როგორ ფიქრობთ, საჭიროა თუ არა რაიმე სახელმწიფო სტრუქტურის არსებობა ენის სიწმინდის დასაცავად? ენის პალატის საქმიანობას რამდენად იცნობთ?

– შეიძლება, ასეთი სტრუქტურა არ-

სებობდეს ცალკე, შეიძლება, მისი ფუნქცია რომელიმე მიმართულებამ შეითავსოს. აქ ბევრის ხიდა გასაუფელი. რეგულაციები და მისი სამიზნეები ზუსტად არის მოსაფიქრებელი. მაგალითად, კომიკურია მწერლის დაჯარიმება, რადგან მხატვრული ენა იცნობს მსგავსი ტიპის არანორმატივებს.

– უცხო სიტყვების შემოღობვა ენაში დღითიდღე თვალმისაცემია, როგორც თანამედროვე მწერალი, მიხვალმებით ამ პროცესს, თუ საჭიროდ მიიჩნევთ გარეგნული ზღვარის

დაწესებას?

– რთული პროცესია. რაც შემთხვევაში, თუ ენას არ გააჩნია მსგავსი შესაბამისი, ნეოლოგიზმის დამკვიდრება ტრადიციული არ არის. უამრავი სიტყვაა ქართულში, დღეს რომ ძირძველი გვეგონია და სულ რაღაც ასობედ წლის წინაა შემოსული, მაგრამ მერე მხრივ, გვაქვს უამრავი სიტყვა, რომელიც იოლად შეგვიძლია გამოვიყენოთ უცხო სიტყვის ნაცვლად და არ ვიყენებთ. აქ გვეჭირდება სასკოლო სისტემის მკაფიო ჩართულობა თავის დროზე.

– როგორ ფიქრობთ, გამართული მეტყველება, ენის ნორმების დაცვა მხოლოდ მწერლების, ფილოლოგების და ჟურნალისტების ვალდებულებაა?

– ვეღვანე უფრო ამ მხრივ უზრუნველსებენ სკოლად. მწერალს ისედაც არ მოეთხოვება მისი ტექსტი გრამატიკის სახელმძღვანელოს ჰგავდეს. თუმცა სკოლავს ვეღვა, იურისტი, პოლიტიკოსი, ვინ აღარ. ქართულ ენაზე ზრუნვა ნებისმიერს მოეთხოვება. ის ჩვენი იდენტობის განმსაზღვრელი ნაწილია.

ის, რაც არასდროს გავიწყდება

წერილი, რომელიც მეთხველს უნდა შევთავაზოთ, აწ გარდაცვლილ პედ...

ხლდათ, რომელმაც უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლება საფრანგეთში მიიღო. მან თავისი ცოდნა და უნარი თავის სოფელს და ქვეყანას მოახმარა.

ცემით სარგებლობდა კოინია და მისი მეუღლე ვარინა მძიმედად სოფელში. კოინია არა მარტო დახმარების ხელს უწყობდა გლეხობას, არამედ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-აგარების დაუფლებადც ემზადებოდა.

ლაღ ისდნენ მაგიდასთან. როცა განაღდა ღვინო, მღეროდნენ სარაჯიშვილი და იმედოვნებდა. კოლი ჩაუტანდა მუნიშნა, რომ კოინია ჩუმადა, არ მღერის, იმედოვნებს ანშინა, იმედოვნებდა მასთან მივიდა და უთხრა და რამ გაგაჩუქა, რატომ არ იღებენ ჩვენთან ერთად?

“დიდი გულისწყურით ვადგენებ თვალს ებრაელებსა და ქართველებს დღევანდობის ურთიერთობებიდან ამბავს და მისხარა, რომ სპონორებიც შეიქმნა, მივესალმები ამ დიდ საქმეს.

არ მიუცია, სანახაობისათვის ეყვრება. კოინიას ვადაცვის გიორგის ნაიქვამი. კოინიას უთქვამს: “მე ვაჩვენებ მას, მიწის თხრა და პარგა-თონხა როგორ უნდა”. ანის შემდეგ გაიყო, რომ ვარინა ქუთაისის პანსიონში სწავლობდა და ამთავრებდა კიდევ. იქ მუშაობდა კოინიას ნათესავეები გუსარი დგებუაძე და გუსა ჩიჭორაძე, რომლებიც საშუალებითაც კოინია წერილებით დაუკავშირდა ვარინას. კოინია განითქმული მომღერალი იყო, ხშირად პანსიონის ფაიტონით, სიმღერებით ჩაუვლიდა, რომ ვარინა დაეწახა. ვარინამ პანსიონი წარმატებით დაამთავრა და მივიყვანეს სახლში, სადაც ორი მოახლე დაეყვინეს, რადგან პანსიონის მასწავლებელმა გასცა ვარინა და გიორგის შეატყობია, რომ კოინიას წერილებს ლეპულობდა ის.



კოინიას დავითთან ერთად

ესაბედა: ფეხი არ შემოდგა ოთახში, ვარინა ჩემთანა, სანამ ჯვარს არ დაიწერი, არც დაგანახებო. ორი კვირა იწვალეს, ჯვარი რომ დაეწერათ, მერე მარტვილის ეკლესიაში გაბრუნდნენ ეპისკოპოსმა დაწერა ჯვარი. ამის შემდეგ აბემა და მისი ძმები ჩვენი ხშირი სტუმრები იყვნენ და სრულად შინაურებად ითვლებოდნენ. მასსოვს, ამიყვანდა აბემა ცალი ხელით მაღლა და მტყვოდა, აბა, გადმოხტო, კი ვსკურზე ვე-

ფსკვებოდი და ვეუბნებოდი, მემინია, გადმოვარდები. კოინია განთქმული აგრონომი იყო, მუშაობდა ბათუმში, ფოთში, ქუთაისში. ყველგან მრავლად იყო სტუმრიანობა. მე ქუთაისი უფრო მახსოვს, იქ პატარა სახლი გვქონდა, ენო ხეხილით, საყურვევად ითვლებოდა, სადაც ხშირად მოდიოდა ვალერიანე გუნია თავის დასით. ქუთაისის თავადაზნაურთა ჩვენს სახლში იყრიდა თავს. მამა ქუთაისის სათავადაზნაურო ბანში მწიფობდა და მუშაობდა, ჩამოდიოდა შალვა დადიანი, იგი ერთი წელი ქუთაისში ჩვენთან ცხოვრობდა (მას აქვს მოგონება “რაც გამახსენდა”). მამა ცდილობდა, არ მოსწყენოდა შალვას და გაერო, ამიტომ ხშირად იყო სტუმრიანობა და შალვაც დიდებული თავადაზნაობით, თამაშობდაც ყველას ხიბლადა. იგი ღელაქმის, ვარინას, ნათესავი იყო. დედას მამა დავითი, ბონდო მიქლაძე. პაპინია მიქლაძე, კვატატი შუბლაძე და მთელი ქუთაისის ნაღები საზოგადოება.

შემდეგ ყველა ცხოვრების ფერხულში ჩაება. ეთერი დღევანდელი ბათუმში სწავლობდა, იქ გაიცნო სიმონ ბენიაშვილი, რიხიანი ახალგაზრდა, ბოხი, ხმაშავი ლაპარაკი იცის, განათლებული. თქვეს, ეთერი გაყვა ცოლად. მე ძლიერ დავინტერესდი მათი კვირით კიდევ ვესტუმრე (ჩემი საქმეები მქონდა და ბინად მათთან ვაჩვენდი). დიდებული ოჯახი შექმნეს. ჰყავთ ქალიშვილი, სიძე – ებრაელი, კარგი, სანდოიანი ვაჟი-აცი, ჩემთანაც დადიან ხანდაზან სოფელში. განსაკუთრებით დაუვიწყარია ჩემი უბედური დისწულის ლევან დავითის ძე ჩხვიძის გარდაცვალება (იგი რაიადმსკომს ხელმძღვანელობდა სამტრედიამო, მერე ცუგურში პარტრაიომის პირველი მდივანი მუშაობდა). მოულოდნელად ორ თვეში დაიღუპა, ჩამოვდა ეთერიც, სიმონიც. ისინი ცხრე ცრემლებით გამოითხოვენი ლევანს. პატარაობიდანვე იცნობდნენ მას. ეს ჩემთვის დაუვიწყარია. სამტრედიამო საშუალო სკოლაში დავაწვე პიონერხელმძღვანელოდ მუშაობდა. დირექტორი ტატანა გვეგუნაძე იყო. აქ სწავლობდა მიშა, ფრიადოსანი მოსწავლე იყო. ბანაკებშიც დამყავდა, ყოველთვის სასახელოდ მონაწილეობდა პიონერულ შეკრებებში. დირექტორმა მოგვწავიოთ ისეთ გრძელხელი და ელისაბედ ჩერქეშიშვილი. ამ შეხვედრამ მიმამ (მენამემ) გვახსევლა. ბატონმა სოსო გვითხრა: – გასაკვირია ებრაელი ხალხი გამჭვირავია, გონებაგანსილი და რაც მოხვარია, უღალატო. იგი დიდი ხანი არ მენახა, ერთხელ, ხონში სასამართლოში მივედი. ჩემი ყოფილი მოსწავლის, ნანული ბალავაძის ნახვა მინდოდა. შევედი თუ არა, წამოვდა ერთი ახალგაზრდა, მომესალმა: მობრძანდით ღვინო ხელმძღვანელო, დაბრძანდით, რამ შეგაწყხნით. ვერ ვიციანი, მიხრა მე თქვენი მენამე ვარი (ასე ვუძახდი), როგორ დამსვენებულა, დავაჯიყვებულა, პროგრესატორში მუშაობდა, ძლიერ გავიხარე.



როგორ აჯილდოვებდნენ ოლიმპიურ ჩემპიონებს ანტიკურ ხანაში?

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ანტიკურ ხანაში ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულების უმთავრეს ჯილდოს ზეთისხილის ტოტებისა და ფოთლებისაგან დამზადებული გვირგვინი წარმოადგენდა, თუმცა, დადგენილი წესის თანახმად, ოლიმპიური თამაშების ტრიუმფატორებისათვის განუთქვნილი ასეთი სახის გვირგვინები მხოლოდ და მხოლოდ ზევისის ტაძრის ეზოში მზარდი “წმინდა ზეთისხილის ხისგან” მზადდებოდა. გარდა ამისა, აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ აღნიშნული გვირგვინის დასამზადებლად საჭირო მცენარის ტოტები გავლენიანი და მდიდარი გვარის წარმომადგენელ იმ პატარა ბიჭუნას უნდა მოეჭრა ოქროს დანით, რომელსაც ორივე მშობელი ცოცხალი ჰყავდა, ოლიმპიური ჩემპიონი ჯილდოვდებოდა შეჯიბრზე დამსწრე მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე. დაჯილდოების ცერემონიაზე სიტყვით გამომსვლელი ორატორი ხანგრძლივ ქებადიდებდა ასხამდა არა მხოლოდ გამარჯვებულ ოლიმპიელს, არამედ მის სამშობლოსაც. სტადიონიდან კი აღფრთოვანებულ გულშემატკივრებს იგი ხელში ატაცებდა გაჰყავდა.



სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ოლიმპიურ ჩემპიონს თანამემამულეები დიდი მადლიერების გრძობით ეგებებოდნენ და მატერიალურ ჯილდოსაც გადასცემდნენ. მაგალითად ათენში მოქმედი კანონმდებლობით, ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულს 500 ბერძნული დრაკმა გადაეცემოდა. გარდა ფინანსური ჯილდოსი, ტრიუმფატორ სპორტსმენს პოეტები სახოტბო ოდებს უძღვნიდნენ, რომელთა მიხედვითაც შემდგომ სიმღერები იწერებოდა. იმ შემთხვევაში, თუკი ოლიმპიადაზე გამარჯვებული სპორტსმენი მატერიალურად შეძლებული იყო, უფლება ეძლეოდა, რომელიმე ცნობილი მოქანდაკისათვის საკუთარი ძეგლის დამზადება შეეკვეთა და იგი ოლიმპიაში დაედგა (ხშირ შემთხვევაში, მატერიალურად ღარიბ სპორტსმენებს ოლიმპიაში ძეგლებს მეცენატები ან მშობლიური კლასები უდგამდნენ). ასეთი სახის ძეგლების პოსტამენტებზე კი იკვეთებოდა გამარჯვებული ათლეტებისადმი მიძღვნილი ლექსები.

394 წელს ოლიმპიური თამაშები, როგორც “კერპთაყვანისმცემლობის გადმონაშთი” გაუქმებული იქნა რომის იმპერატორის – თეოდოსიუს I-ის მიერ. თუმცა, ჩვენს საბუნდოვან, 1 500 წლის გასვლის შემდგომ (1896 წელს) ოლიმპიური თამაშები კვლავაც იქნა აღდგენილი.

Genia.ge

ტამილების უცნაური ტრადიცია

ინდოეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში განთავსებულ ტამილნადის შტატში მაცხოვრებელ ხალხში – ტამილებში ერთი ფრიად უცნაური რელიგიური ტრადიციაა გავრცელებული. ტამილების ოჯახებში დამკვიდრებული ამ უძველესი ტრადიციის თანახმად, ბავშვები ვალდებული არიან რამდენიმე კვირის განმავლობაში ერთხელ პერიოდულად ესტუმრონ ინდუისტურ ტაძრებს და შესაწირავის სახით საკუთარი თმები გაიღონ. ნიშანდობლივია, რომ პირველ თმას, რომელსაც მშობელი თავიანთ შვილებს აჭრის, ინდუისტურ ტაძრებს სწირავენ. ამის შემდეგ თავად ბავშვები იწყებენ ტაძრებში რეგულარულად სტუმრობას. როგორც ცნობილია, ტამილანდი ღარიბი ინდოეთის ერთ-ერთი ყველაზე დატყვი რეგიონი გახლდათ, რის გამოც ბავშვებს იმთავითვე არ გააჩნდათ ტაძრებისათვის შესაწირი არაფერი გარდა საკუთარი თმებისა, საიდანაც ჩაეყარა კიდევ სათავე ამ უძველეს ტამილურ ტრადიციას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბავშვების მიერ ინდუისტური ტაძრებისათვის შეწირულ თმებს ტაძრებშივე ბაზაზე არსებული სახელოსნოები ამუშავებენ. მათგან ამზადებენ პარეკებს, რომელთაც შემდგომ ყიდიან.

Genia.ge



“ტონგას კარი”

“ტონგას კარი” მდებარეობს ტონგატაპუს კუნძულზე, პოლინეზიაში (სახელმწიფო ტონგას ტერიტორიაზე). იგი მიჩნეულია მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ამოუცნობ უძველეს ნაგებობად. მისი აგების მიზანი მეცნიერთა და ისტორიკოსთათვის დღემდე გამოცანად რჩება სპეციალისტთა ვარაუდით, “ტონგას კარი” აგებული უნდა იყოს, დაახლოებით, 1200 წლის წინათ. მისი სიმაღლე 5 მეტრამდეა, წონა კი სრული ნაგებობისა 50 ტონას აღემატება. ზედა ქვის ძელი 9 ტონამდე იწონის, ხოლო თითოეული საყრდენი ქვის ძელის წონა 40 ტონამდეა. ადგილობრივ აბორიგენთა ლეგენდის თანახმად სპეციალურად დადგენილ დღეებში ნებისმიერი ადამიანი, რომელიც აღნიშნულ კარს გაიარდა, ღმერთის წინაშე წარსდგებოდა. უკან დაბრუნების შემდეგ კი ადამიანი ჯვარანახული ცოდნითა და სიბრძნით ბრუნდებოდა. მიუხედავად ადგილობრივთა აღნიშნული ლეგენდისა, მისი დანიშნულება მაინც დაუდგენელია. ზემოთ აღნიშნულ მიზეზთა გამო, “ტონგას კარი” ისეთი ცნობილი და ამოუცნობი ნაგებობის გვერდით დგას, როგორცაა – “სტონჰენჯის კომპლექსი” ინგლისში.

Genia.ge



გზა მოწამითა

ქცევას განსაზღვრავს გარემოება,
ვერც ბრძენი განჭვრეტს და ვერც მისანი,
ყველა ქმედებას ზენა წარმართავს,
ის არის მეკვლე ჩვენი გზისანი.
ქრისტეს წამების თვითმხილველი მცნობს,
– ის არის! ჩემზე ამბობს, ვიცანი!
მან ჩააჭვდა უფალს სამსჯავლი,
მან დაამაგრა ჯვარზე ფიცარი.
თავს ვერ ვიმართლებ, ეგება მართლა
მე აღვასრულე საქმე საზარი,
კანონმორჩილმა დავყვე ბრძანებას,
ნუთუ მე ვიყავ? მესხმის თავზარი.
ან მე, ან ის და ანდა შენ იყავ
აღმსრულებელი წერილისანი,
ისე არც ჯვარცმა არ იქნებოდა
და აღარც რწმენა აღდგომისანი.
წინსვლას და პროგრესს ზენა განაგებს,
და სატანჯველი კაცთა ძისანი,
დალოცვილია გზა მოწამეთა,
წყვეულია გზა ჯვალთისანი.

აღღობა ახალშენში

ისევ შევხვდები “ფრანგულ” აღღობას,
ხონში შეხიზნულ მესხურ სოფელში,
უდელ, არაღელ მესხების მოდგმას
უნდა ვეწვიო დღეს ახალშენში.
ღვინოს ვაპკურებ სიამამის საფლავს,
ელე ბებოს და პეტრეს გამოზრდილს,
ფეხით გაეთელავ ზესაქტაც ბალახს,
მათი საფლავის ირგვლივ წამოზრდილს.
ჭიქას შევაესებ, მიეუჭახუნებ,
ცოლის ჩემისას საბიბამვილოს,
მართლმადიდებელს და კათოლიკეს
ერთი რჯული გვაქვს, ყველამ გაიგოს.
მინდა მოვესწრო, რომ ეკლესიამ
ქრისტეს სწავლება ადარ გამოიჯნოს,
რომმა და კონსტანტინოპოლმა რომ
მორწმუნე მრევლი ადარ გაიფოს.
რომ ერთ დღეს გვეკონდეს შობა, ხარება,
ჩვენ რომ ვმარხულობთ, თქვენ რას ხალისობთ?
ბზობა, აღღობა და ამაღლება
და მათი მადლით სული ავივსოთ.
ვიცი, ბევრს ადარ მოეწონება
ჩემი წადილი, – მივდივარ რისხზე.
ქრისტე აღსდგა-თქო, გილოცავთ ყველას,
მასმინეთ, ჭეშმარიტად აღსდგაო ქრისტე.

ორჯერ ავღობა

სამოცდაათს თუ მივადწვევ,
ასორმოცის ვიქნები,
ქვეყანაზე ერთადერთი
უხუცესი ვიქნები.
ნუღარ გიკვირო, წელიწადში
ორჯერ ვხვდები ახალ წელს,
აღღობას და გიორგობას,
ორჯერ დაბადების დღეს.
ორჯერ მითქვამს წელიწადში
სამობაო აღილო,
მიკვირს გულმა გაორებულს
ამდენხანს რომ გამიძლო.
ახლა ასი წლის ვარ, მაგრამ
ორმოცდაათს თუ მომცემთ,
ოც წელიწადს მაცოცხლეთ და
ესტაფეტას გადმოცემთ.
მოვეკვები და ვერ დამიჭერს
მე ჰადესის საზღვრები,
ორჯერ გარდავიცვლები და
მერე ორჯერ აღვდგები.

სსრკ-ის სიძველეთა ბაზრები

ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული ეს დიდებული ტრადიცია გვავსებს გავისხნოთ ისინი, ვინც საქვეყნო საქმეს ერთგულად ემსახურა და წარუშლელი კვალი დატოვა. მათ არასდროს დაკლებიათ სიყვარული, პატივისცემა და აღიარება, მაგრამ დღეს როცა ისინი ჩვენს გვერდით აღარ არიან, უფრო მკვიტრად წარმოჩნდა ის საუკეთესო თვისებები, რომლებიც ყოველდღიურ შრომასა და ცხოვრებაში ახასიათებდათ.

ვინც მას იცნობდა, ან პქონდა ამასთან რაიმე ურთიერთობა, მუდამ დაამახსოვრებდა როგორც გულთბილი და კეთილმოსურნე პიროვნება, მეგობრებისა და თანამშრომლების ერთგული და პატივისცემი, ჭირსა და ღიძინაში თანამდგომი, კაცური კაცი, რომელიც მუდამ გამოირჩეოდა თავისი პეწიანობით, თავაზიანობით, მაღალი პროფესიონალიზმითა და პრინციპულობით. ამიტომ დაკვირვება მუდამ პატიოსანი და ნიჭიერი ინჟინრის, ერთგული მეგობრის და შესანიშნავი მეოჯახის სახელი და პატივისცემა ბატონ ავთანდილ ტორნიჯაძეს. მან ექვსი ათეული წელი რეინიგზაში იმუშავა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მთელი მისი საქმიანობა რეინიგზის სამტრედიის განყოფილებას უკავშირდება. იყო სადგურ სამტრედიის ინჟინერი, შემდეგ არჩეული იქნა განყოფილების პროფრაიომის თავმჯდომარედ, პროფრაიომის პასუხისმგებელ მდიანად. ავთანდილ ტორნიჯაძე მუშაობის პერიოდში მთელი მონღოებით, ენერჯითა და თავდადებით იცავდა რეინიგზელთა შრომით, პროფესიულ და სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს. სამაგალითო იყო თანამშრომლებთან, მეგობრებთან ურთიერთობაში, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა რეინიგზელთა შორის. ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი პასუხისმგებლობის გრძობით, კვალიფიციური ცოდნით. მის სასახლო შრომაზე მეტყველებს საპატიო რეინიგზელის წოდება. უამრავი ორდენი, მედალი, მადლობა და ფულადი პრემია. მისი სახელს უკავდავყოფენ მისი შვილები, შვილიშვილები და შვილითაშვილები, რომელთა უმრავლესობა დღეს ღირსეულად მოღვაწეობს რეინიგზის ტრანსპორტზე სხვადასხვა სფეროში.

შეუძლებელია არ მოვიგონოთ აგრეთვე უპრეტენზიო, მრავალი პიროვნული ღირსებით შემკული და დაფასებული რეინიგზელები.

ახლანან წავიდნენ ამ ქვეყნიდან: ერმალო ვაშაიძე, გურამ კაჭარავა, ბაჩუკი ტორნიჯაძე, მამუკა ჩხლაძე, ელდარ ჯანგველაძე, კირილე კეპანაძე, გიორგი კვალიშვილი, გიორგი ხაჭალა. ასევე არ შეიძლება დავივიწყოთ სახელგანთქანი რეინიგზელები: აკაკი წილოსანი, მიხეილ კოპალეიშვილი, ოთარ ასათიანი, ვაჟა ბურჯანიძე, ინეზა ხომერაძე, მელიტონ არველაძე, ვახტანგ ულრელიძე, გივი თელია, ვლადიმერ ქორეი, თემურ და ნუგზარ ველიაშვილები, უმანგი კახაძე, გურამ ზამთარაძე, როსტომ თოდუა, ნიკოლოზ ცხვარაძე, ზაურ ხაჭოშია, იური გოგია, გივი ნოღია, იპო კეპანაძე, დავით გულიაშვილი, მიხეილ ბოჭორიძე, ნიკოლოზ ბლუაშვილი, ამროსი კლასინია, გიორგი რამიშვილი, ვლადიმერ რევიშვილი, ბიქტორ ნიკურაძე და მრავალი სხვა, რომელთა შრომა და ღვაწლი სამაგალითო იყო ახალგაზრდობისათვის. მართალია, დრო სწრაფად მიდის, მაგრამ მათი კეთილი შრომის ნაყოფი, ნათელი კვალი დაუვიწყარს ხდის მათ სახელებს.

ლევან მამთაზარიძე

მისი სახელი საფუძვლიანად შეიძინა რეინიგზის ისტორიას

ყოფილი სამტრედიის რეინიგზის განყოფილების უფროსი, ხოლო შემდეგ მისი უფროსი, ლევან ვარდოსანიძე, საკუთარი თავისა და სხვებისადმი მაღალი მომთხოვნელობით გამოირჩეოდა, არც ერთი მისი მიერ გაცემული დავალება რუკირების გარეშე არ დატოვებდა. უმკაცრესი კონტროლი იყო დაწესებული ყველა მათგანის შესრულებაზე. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა. მისი იდეით გაიხსნა რეინიგზაში გამოთვლითი ცენტრი, რომელიც მოძრაობის სამსახურში დაინერგა. ერეკვირა ნებისმიერ საკითხში, რაც რეინიგზასთან იყო დაკავშირებული. როცა რაიმე საკითხს განიხილავდა, გაუარესებელს არავის ტოვებდა. ყველაფერს აკეთებდა, რომ ტვირთბრუნვა გაზრდილიყო. ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვის მთელ გზაზე მაღალი ბაქნების მშენებლობის საქმეში. მისი უშუალო დავალებით გაკეთდა ცენტრალიზაცია სამტრედიის-ადლერის უბანზე, რითაც გაუმჯობესდა მატარებელთა შეუფერხებელი გატარება, ტვირთების დროული გადაზიდვა. თუ ვერ ესწრებოდა ვაგონებიდან ტვირთის დროულად ჩამოკლა, ჩამოაყალიბებდა ოპერატიული ჯგუფს, სადაც შედიოდნენ თითქმის ყველა სამსახურის წარმომადგენლები და განიმუხტებოდა სიტუაცია, სწრაფად დაცემული ვაგონები. სულერთია სად იქნებოდა ეს, ბათუმში, ფოთში, ზუგდიდსა თუ სამტრედიას. ყველა ღონეს ხმარობდა, რათა გვერდითი შესრულებულიყო, ყოველი სადგურის მუშაობაზე საკუთარი კონტროლი პქონდა დაწესებული. ამიტომაც ძალზე ხშირად გარდასვალ წითელ დროშას და ფულად ჯილდოებს ამიერკავკასიის რეინიგზას მიაკუთნებდნენ.

ლევან ვარდოსანიძე 1925 წელს დაიბადა ქალაქ ტყეზულში, მუშის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე "ტყეზულქანახშირის" ტრესტის მაღაროში დაიწყო მუშაობა მუშად. 1944 წელს ჩაირიცხა თბილისის რეინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ექსპლუატაციის ფაკულტეტზე. დაამთავრა თუ არა, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში გაიგზავნა. მოგვიანებით მან დატოვა ეს კომიტეტი და პროფესიულ საქმიანობას მიუბრუნდა. მალე დაიცვა დისერტაცია რეინიგზის ტრანსპორტის ეკონომიკის დარგში. ბატონი ლევანი იყო მოახლოებული პიროვნება, მეტად განათლებული, შესანიშნავად იცოდა სარეინიგზო საქმე. ღრმად იყო გარკვეული ლიტერატურაში, ისტორიაში, ხელოვნებასა და სპორტში, იგი ნამდვილი პატრიოტი იყო, სამტრედიის განყოფილებაში უფროსად მუშაობის პერიოდში გზათა მიმოსვლის სამინისტროს ხელმძღვანელობამ მას შეთავაზა ჩრდილოეთ კავკასიის რეინიგზის უფროსის თანამდებობა, მაგრამ ბატონმა ლევანმა თავი შეიკავა, რადგან მისი რწმენით, მთელი მისი ცოდნა და ენერჯია უნდა მიეზმარა საკუთარი ქვეყნისთვის, საქართველოსთვის. მოკლე დროში მას აწინაურებენ საქართველოს რეინიგზის დეპარტამენტის უფროსად. ბატონი ლევანი მეტად მომთხოვნი გახლდათ, უპირველესად, საკუთარი თავისადმი, ხოლო შემდეგ ხელქვეითებისადმი. ერთი შეხედვით მკაცრი გახლდათ, მაგრამ იყო სამართლიანი. იცოდა მშრომელი კაცის დაფასება. მისი სიტყვას, დაპირებას ბეჭდის ძალა პქონდა.

მახსოვს, ერთხელ, განცხადებით მივმართე განთავისუფლებისათვის, მაშინ შრომის ხელფასის განყოფილებაში ვმუშაობდი და მიწვდით გაგრაში ინსპექტორად გადასვლა ჩემი ნათესავის დახმარებით. მიხერა, რა გინდა პოლიციაში, მე იქიდან წამოვდი და შენ არ გირჩევო. და მეორე დღეს ელექტროფიკაციის დარგის უფროსი ინჟინრად დამინიშნა.


ბატონი ლევანი უსაზღვროდ მოსიყვარულე მეუღლე, მამა და ბაბუა იყო. გაჩნდა იუმორის დიდი გრძობა. ამასთან გახლდათ დიდებული თამადა.

არჩეული იყო პარლამენტის დეპუტატად ტყეზულის რაიონიდან, დიდი პასუხისმგებლობით ხელმძღვანელობდა პარლამენტში ტრანსპორტის ქვეკომიტეტს. მას უყვარდა შენება, ბევრი გააკეთა და ბევრიც განსახორციელებელი დარჩა. მალეან ენაწიბოდა ის ახალი ცხოვრება, რომელიც მოდიოდა და რომლიდანაც თავად მიდიოდა. მისი გზის უფროსობისას აშენდა მრავალი სკოლა, სამედიცინო დაწესებულება, რეინიგზელთა საცხოვრებელი სახლები, როგორც სამტრედიას, ასევე, მთელ საქართველოში.

ლევან მამთაზარიძე

სსრკ-ის სიძველეთა ბაზრები

ვინც ახლოს იცნობდა ქალბატონს, ვისზეც ამჯერად ვსურთ, ამ სიტყვების მართებულობაში უთუოდ დაგვეთანხმება.



მარად აქტიური, მოფუსფუსე, საფლესა და თანასოფელთა ტკივილით შეწუხებული, სიხარულით აღტაცებული...

ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ქალბატონმა ცისანა მებუკემ იმუშავა მშობლიური სოფლის სკოლაში მასწავლებლად, დირექტორის მოადგილედ, დირექტორად.

იყო ღანიის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

შეუძლებელია, ერთ წერტილში ისაუბრო იმ კეთილ საქმეთა შესახებ, ქალბატონი ცისანას ძალისხმევით რომ აღსრულებულა.

სკოლის კაპიტალური შეკეთებისათვის ზრუნვა, ღანიის გამოჩენილი შეილთა მუხეუძის გახსნა, შიდასასოფლო გზების კეთილმოწყობა, გასართობ-შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებების მოწყობა...

ერთი სიტყვით, მოცილის იმეათად ნახავდა ვინმე საოცრად აქტიურ ქალბატონს, ვისაც, დახატვ, შესწევდა ძალა ქაღალდისა, თუმცა, საკუთარ თავზე არ უყვარდა საუბარი ისე, როგორც ნამდვილ ღირსეულთ სწევით.

საშუალო და უფროსი თაობის ადამიანები დამეთანხმებიან, რომ ღანი-რბის ხშირად ტარდება მეხვედრები ცნობილ თანასოფლელებთან, აკადემიკოს ბენდიქტე ბალავაძესთან, ოლიმპიურ ჩემპიონ ვახტანგ ბალავაძესთან, საქართველოს სახალხო არტისტებთან ეროსი მანჯგალაძესთან და ჯემალ ღიდანძესთან... ეს მეხვედრები კი შინაარსით ერთი სოფლის ღონისძიებასთან შედარებით გაცილებით მასშტაბური გახლდათ, რამც დიდი იყო წვლილი ადგილობრივი ინტელიგენციისა და მათი ლიდერისა. ენერჯიული, პრობლემათა რეალურად შემფასებელი ქალბატონი რაიონის პედაგოგიურმა საზოგადოებამ არაერთხელ აირჩია საქართველოსა და საბჭოთა კავშირის მასწავლებელთა ყრილობების დელეგატად. მინიჭებული პქონდა "სახალხო განათლების წარჩინებულის" საპატიო წოდება.

იმ ასაკში გარდაიცვალა, როცა კვლავ შეძლო, უშურველად დახმარებოდა, თანადგომა აღმოეჩინა ახალბედა კოლეგებისა და თანასოფლელებისათვის თავისი უმდიდრესი ცხოვრებისეული გამოცდილებით.

წრფელი გულით დაითრია სოფელმა თავად უშვილო, თუმცა ათასი შვილის მშობელი ქალბატონი, რომლის სსრკ-ის მარადიულად იცოცხლებს იმ ადამიანთა შორის, ვინც იცნობდა, მასთან პქონია საქმიანი კონტაქტები.

80 წლისა გახდებოდა ამ დღეებში ქალბატონი ცისანა მებუკე. ნათელში იყოს!

ლევან მამთაზარიძე

არღანოვნიკა

მოცერისა აროდეს გვიხანს ზიანსა! – გვიმოდერავს სულმნათი წინაპარი. მრავლად არიან ადამიანები, რომელთა სახელი, კეთილი საქმეები არ გაივსდება სამზეოდან მათი წასვლის შემდეგაც კი.

იგი პირველი მოგვეგებებოდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ სახლში, თუნდაც, ადრეანად მოსულს, არა აქვს მნიშვნელობა, აქ მუშაობდი თუ არა. უპრობლემო, უბოროტო, ალ-ალ-მართალი, საოცრად პასუხისმგებელია, მისი საქმის მცოდნე იყო თინათი ნიკოლიზიძე, ჩვენი თენგი.

კარის თუ ფანჯარის საყები გაფუჭდებოდა, ოჩანი იყო შესაკეთებელი და ა. შ. თენგი თავისი ინსტრუმენტებით გაჩნდებდა საჭიროების ადგილზე და პრობლემაც უმაღ გადაიჭრებოდა.

სრულიად ახალგაზრდა მოვიდა ადმინისტრაციულ სახლში, ჯერ კიდევ მაშინ, როცა კომუნისტური მმართველობა იყო ქვეყანაში, პირად საუბარში არაერთხელ დაუფიქსირებია კმაყოფილება, დადებითი დამოკიდებულება იმ ადამიანების მიმართ, ოდესმე მისთვის ხელი თუ გაუმართავთ, მხარში ამოსდგომიან, კეთილი საქმე უკეთებიათ.

იცოდა ფასი წიგნისა და წიგნიერი ადამიანებისა, განსაკუთრებით გამოხატავდა სიბოროსა და ყურადღებას მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისადმი. ალბათ იმიტომაც, რომ მისი მშობელი დედა, საბბლითიეოკ სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკი, ქალბატონი ღენა შანიძე, მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე იყო.

მოულოდნელად, ნადრევედ წავიდა ამ ქვეყნიდან აქ დარჩენილებს კი მარადიულ სსოვნასთან ერთად უამრავი კეთილი, თბილი მოგონებაც თან დაუტოვა.

ნათელში იყავი ჩვენი თენგი!

ლევან მამთაზარიძე

საზოგადოება "სამტრედიელი" თანაუგრძნობს ნუგზარ ხაჯალას, მძის

მია ხაჯალიანი

გარდაცვალების გამო.

"სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა

მია ხაჯალიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

აივ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბ "ფალავანის" თანამშრომლები ღრმა მწუნარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უკეთილშობილესი ქალბატონი, საჭიდაო კლუბის ბუღალტერი, ქალბატონი

ღარამიანი ჩარანა-ხეჭუანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.



გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია გულისტკივილით იუწყება

ღარამიანი ჩარანა-ხეჭუანი

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ კარლო კალაძის

ლოლო კალაძის

გარდაცვალების გამო.

ციხეი "შაპიტო" მხიხელი ნახმოდგენით და უწყინაი გეხითანებით

გინდ ფიგურალური დაარქვით, გინდ მწარედ და გინდ ტკბილად ნათქვამი, ცხოვრება რომ ცირკია, არახალი ჭეშმარიტებაა. ამ მცნების პირდაპირი თუ ირიბი მნიშვნელობით საქართველო, უკრაინა და რუსეთი ცირკმა საკუთარ არენაზე დააკავშირა. ფაქტია, რომ ამ სამი ქვეყნის წარმომადგენლები სამტრედიამი სანახაობას ერთ კვირაზე მეტი მართავენ. მის დამსწრეთ, ძირითადად, ბავშვებს, სულ არ აინტერესებდათ "შაპიტოს" წარმომადგენლობა ან შემადგენლობა, ან ამ ცნების რეალობასთან ინტერპრეტირება, მხიარული და საოცრებებით სავსე სანახაობით ინტერესდებოდნენ. არც ის აღარდებდათ, მშობლებს ბილეთის ღირებულების გადახდა უჭირთ თუ არა. ისინი, ვისაც ეს შესაძლებლობა არ აქვს, საცირკო წარმოდგენაზე არც მეტი, არც ნაკლები, მუნიციპალიტეტის მერმა დააბათილა. ვალერიაზე ფოცხვერიამ ჯერ მრავალმედიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახების პატარები მიიწვია სამტრედიამი ჩამოსული ცირკი "შაპიტოს" სახელდახელოდ მოწვობილ არენასთან გასართობად, მერე კი დღეილი ოჯახების შვილები დაპატიჟა წარმოდგენაზე, სამასსოფრო ფოტოც გადაიღო და ერთი მხიარული დღე აჩუქა მათ.

თბა ბაბუნაშვილი



სამტრედიამი, ჭავჭავაძის ქუჩის № 3-ში ფუნქციონირებს ფოტოვიდეო სტუდია **“დიადემა”** სადაც მოგემსახურებათ ფოტოგრაფი, დიზაინერი პაატა ცერცვაძე. ტელ.: 598 50 39 52.

გულოცავთ!

ბაღრი კაკაბაძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ! ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახის შემწე და მფარველი.

კახიძისგვამით ვებარათს რაიონული კავშირი

კალაბატონ გულიკო ცინცაძეს!

ჭეშმარიტ მამულიშვილს, ჩვენი რაიონის მემკვიდრეს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მოამაგეს, ჩვენს ერთგულ მეგობარს, კალაბატონ გულიკო ცინცაძეს გულოცავთ 80 წლის იუბილეს და ვუსურვებთ დღეგრძელობასა და ჯანის სიმრთელეს. კიდევ დიდხანს გეკეთებინოთ თქვენი საყვარელი საქმე, კიდევ დიდხანს გვეგულეობოდეთ ჩვენს დამრიგებლად.

ბუნაშვილ-ახალაშვილის სახლის კლავოზიერი კოლხაძე

კალაბატონ გულიკო ცინცაძეს!

უდიდესი პატივისცემით გილოცავთ სახელოვან იუბილეს. ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი, კვლავ დიდხანს გემოღვაწოთ ჩვენს შორის ღვაწლმოსილი ქალბატონო.

ახალაშვილისგვამით მუზეუმის თანამშრომელი

კალაბატონ გულიკო ცინცაძეს!

სახელოვან იუბილეს გილოცავთ ჩვენი რაიონის სახელოვანი ინტელიგენციის ღირსეულ წარმომადგენელს. იხარეთ, იღვგრძელოთ!

“საბრალონი მაცნე”

კალაბატონ გულიკო ცინცაძეს!

გულითადად გილოცავთ საიუბილო თარიღს ქალბატონს, რომელმაც ენერჯია უშურველად შესწირეთ ოჯახს და პროფესიულ საქმეს. ვამაობთ თქვენით! მქონდა ბედნიერება, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დღემდე მეხილა თქვენი ამოუწურავი შემოქმედებითი შესაძლებლობები, მთლიანად რომ მიუძღვნით საშვილიშვილო საქმეს, რომელიც თქვენს ერთგულ კოლეგებთან ერთად, ბატონი ჯონი ნადირაძის ხელშეწყობით, კვლავინდებურად უნდა გაგრძელოთ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ახალ ფუძეზე. გულწრფელად გლოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეებში, წელთა სიმრავლესა და მხნეობას გისურვებთ!

კახიძისგვამით ნათელა ბაღიშვილი

ანანო კაკაბაძეს!

ჩვენი ანანო, საყვარელო გოგონა, გილოცავთ დაბადების დღეს, უფალმა მხოლოდ სიეთე და წარმატება გიწყალობოს. იხარე და იბედნიერე ძვირფას ოჯახთან და მოსიყვარულე ადამიანებთან ერთად. ხვალინდელი დღე დღეებში უკეთესი გქონდეს. წინ სულ გამარჯვებებით გვევლოს!

“საბრალონი მაცნე”



თალიკო კარიშვილიშვილს!

91 წლის შესრულებას გილოცავთ ჩემთვის ძალიან ძვირფას ქალბატონს, კეთილსინდისიერების განსახიერებას, საუკეთესო შვილების დედას, ასეულობით მოსწავლის აღმზრდელს, პიროვნებას, რომელმაც ამჟვეწინა 9 ათეული წელი ნამდვილი ქართველი მანდილოსნის ცხოვრებით გაატარა. საყვარელო თალიკო დეიდა, გისურვებ, წელთა სიმრავლეს არც მომავალში შეერყიოს შენი ჯანმრთელობა. კვლავ დიდხანს და კარგად მეყოლე!

ბობო ნახიჭავიძე



რაქაქიის მისამართი: საბრალონი, რისაუბლიკის ქ. №6 ტელ: 790 391839



დირექტორი ბეჟან გოგია მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭაქაძე გამომშვეები რედაქტორი თბა ბაბუნაშვილი პასუხისმგებელი მდივანი ლეკო ბაბუნაშვილი კომპიუტერული უზრუნველყოფა მბაპ კაკაბაძე